ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5885996

ნომერი: AR1883969

თარიღი : 02.03.2022

გაცემის თარიღი : 06.04.2022

გაცნობის თარიღი : 08.04.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელენა სოსინა პ/ნ 01011064476
- საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ტოლუჟის ქ., №56

ორგანიზაცია:

- შპს დეველოპმენტ გრუპ კოდი: 406155618

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 2 მარტის №AR1883969 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2022 წლის 21 თებერვლის №5771860 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 11 მარტის №5844188 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ საცხოვრებელ ფართობებში ისევ არასწორად არის ჩათვლილი კოლონებისა და საჰაერო შახტების ფართობები. ამასთან, კიდევ ერთხელ განგიმარტავთ, რომ გეგმებზე „ა-1“ ღერძის კვეთასთან „1“ ღერძისა და „ა-2“ ღერძის კვეთასთან „2“ ღერძის გასწვრივ მდებარე ფართობები არ წარმოადგენს დამხმარე ფართობებს - „ა-1“ ღერძების კვეთასთან „1“ ღერძის გასწვრივ მდებარე უნდა იანგარიშოთ საცხოვრებელ ფართობში, ხოლო „ა-2“ ღერძების კვეთასთან „2“ ღერძის გასწვრივ მდებარე საზაფხულო ფართობში. ასევე, №24 საცხოვრებელი ბინის შტამპზე ისევ არასწორად არის მითითებული „ოფისი“. შეთანხმებული და წარმოდგენილი გეგმები შეუსაბამოა ერთმანეთთან (შეცვლილია გეგმარება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო, დამხმარე და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს 2022 წლის 21 თებერვლის №5771860 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), გეგმებსა და გეგმებზე გამოტანილ შტამპებზე შესწორებული ფართობების დატანით

ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 11 მარტის №5844188 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 13 მარტს, ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2022 წლის 4 აპრილს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღე.

სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2022 წლის 2 მარტის №AR1883969 განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge